186
1967

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 2

მარტი — აპრილი

1967 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 2 მარტი—აპრილი 1967 წ.

10.5702

შ ი ნ ა ა რ ს ი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

1. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 20 იანვრის № 39 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 24 აპრილის № 329 დადგენილების ნაწილობრივ გაუქმების შესახებ.
2. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 9 იანვრის № 24 დადგენილებასთან და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 3 იანვრის № 4 დადგენილებასთან დაკავშირებით, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ზოგიერთი დადგენილების გაუქმების შესახებ.
3. საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მუშებისა და მოსამსახურეების ხუთ სამუშაო და ორ დასვენებისდღიან კვირაზე გადაყვანის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებები

4. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავად საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომების სოციალისტური შეჯიბრების პირობების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

5. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 20 იანვრის № 39 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებათა გაუქმების შესახებ.

6. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროების იმ რეზერვის შესახებ, რომელიც განკუთვნილია საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციებისათვის ფინანსური დახმარების გასაწევად.
7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 30 ივლისის № 462 დადგენილების დამატების შესახებ.
8. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე საცალო ქსელში ნაყიდი სამრეწველო საქონლის გამოცვლის წესების დამტკიცების შესახებ.
9. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 3 იანვრის № 4 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებათა გაუქმების შესახებ.
10. ფოთის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მიერ ფოთის ჰიდრომექანიზაციის მანქანათმშენებლობის ქარხნისათვის საცხოვრებელი სახლების დაბრუნებისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ.
11. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ.
12. საბჭოთა მეურნეობებში შიდასაწარმოო სატელეფონო კავშირის საშუალებათა მშენებლობის სამუშაოების დაფინანსების წესის შესახებ.
13. საქართველოს სსრ კურორტების კლასიფიკაციის შესახებ.
14. ზოგიერთი ნაკლებად გავრცელებული ძვირფასი ჯიშის ყურძნის შესასყიდი (დამზადების) ფასების შესახებ.
15. ქ. თბილისის ფიზიკა-მათემატიკური სკოლა-ინტერნატისათვის სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავის, საბჭოთა კავშირის ორგზის გმირის, ინჟინერ-პოლკოვნიკ ვლადიმერ მიხეილის ძე კომაროვის სახელის მიკუთვნების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განკარგულებები

16. განკარგულება № 358-გ.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

1 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 20 იანვრის № 39 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 24 აპრილის № 329 დადგენილების ნაწილობრივ გაუქმების შესახებ

შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 20 იანვრის № 39 დადგენილებისა „მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა მუშაობის გაუმჯობესების ზომების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 15 მაისის № 384 დადგენილებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა გაუქმების თაობაზე“, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს „მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების ზომების შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 24 აპრილის № 329 დადგენილების მე-11 პუნქტის ქვეპუნქტი „ბ“ და პუნქტი 12.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ვ. მჟავანაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1967 წ. 21 მარტი № 187.

2 სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 9 იანვრის № 24 დადგენილებასთან და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 3 იანვრის № 4 დადგენილებასთან დაკავშირებით, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ზოგიერთი დადგენილების გაუქმების შესახებ

შესაბამისად სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 9 იანვრის № 24 დადგენილებისა „იმის შესახებ, რომ ძალადაკარგულად ჩაითვალოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი სსრ კავშირის რკინიგზების ახალი წესდების დამტკიცებასთან დაკავშირებით“ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 3 იანვრის № 4 დადგენილებისა „სსრ კავშირის რკინიგზების ახალი წესდების დამტკიცებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა გა-

უქმების შესახებ“, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი თანდართული ნუსხის თანახმად.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ვ. მჟავანაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1967 წ. 7 აპრილი № 234.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა
და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1967 წლის 7 აპრილის № 234
დადგენილების დანართი

ნ უ ს ხ ა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა, რომლებმაც ძალა დაკარგეს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 9 იანვრის № 24 დადგენილებასთან და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 3 იანვრის № 4 დადგენილებასთან დაკავშირებით

1. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1945 წლის 30 დეკემბრის № 1723 დადგენილება „ამიერკავკასიის რკინიგზაზე მგზავრთა გადაყვანის გაუმჯობესების ზომების შესახებ“.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1946 წლის 27 მაისის № 253 დადგენილება „1946 წლის მოსავლის აღებისათვის კომბაინებისა და სალეწი მანქანების მომზადების შესახებ“.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1946 წლის 27 ივნისის № 406 დადგენილება „კოლხიდის დაბლობის ამოშრობის ღონისძიებათა შესახებ“.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1947 წლის 23 ოქტომბრის № 1206 დადგენილება „საქართველოს სს რესპუბლიკაში 1947 წლის მოსავლის ციტრუსოვანთა ნაყოფის დამზადების სახელმწიფო გეგმის შესახებ“.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1947 წლის 11 ნოემბრის № 1262 დადგენილება „1947 წლის მოსავლის ციტრუსოვანთა ნაყოფის გამოყენების გეგმის შესახებ“.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1947 წლის 11 ნოემბრის № 1263 დადგენილება „1947 წელს ხორცის დამზადების მიმდინარეობის შესახებ“.

7. პუნქტი 5 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1947 წლის 28 ნოემბრის № 1345 დადგენილებისა „სახელმწიფო მარცვლის დაცვა-შენახვის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“.

8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1949 წლის 5 ნოემბრის № 1504 დადგენილება „1949 წლის მოსავლის ციტრუსოვანთა ნაყოფის გამოყენების გეგმის შესახებ“.

9. პუნქტი 20 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1950 წლის 17 ნოემბრის № 1647 დადგენილებისა „1950-1951 წლების შემოდგომა-ზამთრის პერიოდში ტრაქტორების, კომბაინებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების რემონტის გეგმის შესახებ“.

10. პუნქტი 6 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1952 წლის 21 მარტის № 347 დადგენილებისა „კოლმეურნეობებში მეფრინველეობის საინკუბატორო სადგურების მუშაობის გაუმჯობესებისა და ფრინველის მოზარდეულის გამოზრდის ზომების შესახებ“.

11. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის 1952 წლის 9 სექტემბრის № 1416 დადგენილება „1952 წელს შაქრის ჭარხლის ამოღების დაწყებისა და საქართველოს შაქრის ქარხნის ამუშავების ვადების შესახებ“.

12. პუნქტი 10 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 12 დეკემბრის № 1661 დადგენილებისა „1954 წლის მინდვრის სამუშაოებისათვის ტრაქტორების, კომბაინების და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების რემონტისა და მომზადების გეგმის შესახებ“.

13. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 7 დეკემბრის № 1094 დადგენილება „1955 წლის მინდვრის სამუშაოებისათვის საქართველოს სსრ მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების ტრაქტორების, კომბაინების და სასოფლო-სამეურნეო მანქანების მომზადების შესახებ“.

14. პუნქტი 13 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 24 ივლისის № 406 დადგენილებისა „ყურძნის, ხილისა და კენკრის წარმოებისა და დამზადების გადიდების შესახებ“.

15. პუნქტი 13 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 8 დეკემბრის № 952 დადგენილებისა „პირუტყვისა და ფრინველის გადამუშავების გაუმჯობესების ზომების შესახებ“,

აგრეთვე ამ დადგენილების პუნქტი 11 იმ ნაწილში, რომელიც სარკინიგზო ტრანსპორტს შეეხება.

16. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 22 თებერვლის № 91 დადგენილება „1961 წელს საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში სიმინდის მწიფე მარცვლის უხვი მოსავლის მიღების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“.

17. პუნქტი 12 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 22 აპრილის № 271 დადგენილებისა „კოლმეურნეთა და კოლმეურნეობათა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ნამეტის გასაღების ორგანიზაციის გაუმჯობესების შესახებ“.

3 საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მუშებისა და მოსამსახურეების ხუთ სამუშაო და ორ დასვენებისდღიან კვირაზე გადაყვანის შესახებ

შესაბამისად სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს 1967 წლის 7 მარტის № 199 დადგენილებისა „საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მუშებისა და მოსამსახურეების ხუთ სამუშაო და ორ დასვენებისდღიან კვირაზე გადაყვანის შესახებ“, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ე ნ:

1. სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს 1967 წლის 7 მარტის № 199 დადგენილება „საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მუშებისა და მოსამსახურეების ხუთ სამუშაო და ორ დასვენებისდღიან კვირაზე გადაყვანის შესახებ“ დაეგზავნოს სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს, სამინისტროებს, უწყებებს, პროფკავშირთა რესპუბლიკურ კომიტეტებსა და საოლქო საბჭოებს, ცენტრალურ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს.

2. დაევალოთ ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის საოლქო აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს შეიმუშაონ შესაბამის სამინისტროებთან, უწყებებთან, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა რესპუბლიკურ ორგანოებთან, საოლქო პროფსაბჭოებთან და პროფკავშირთა რესპუბლიკურ კომიტეტებთან ერთად, ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქის, ქალაქისა და რაიონის ტერიტორიაზე მდებარე სახელმწიფო, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მუშებისა და მოსამსახურეების ხუთდღიან სამუშაო კვირაზე გადაყვანის კალენდარული გეგმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და 1967 წლის 15 მაისამდე წარმოუდგინონ განსახილველად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საჭირო მასალებითა და დასაბუთებით.

3. საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, საწარმოთა და მშენებლობათა ხელმძღვანელებმა სამრეწველო საწარმოთა და მშენებლობათა მუშებისა და მოსამსახურეების ხუთდღიან სამუშაო კვირაზე გადაყვანის დროს უზრუნველყონ ძირითადი საწარმოო ფონდების გამოყენების ეფექტიანობის ზრდა, კერძოდ, შეიმუშაონ და განახორციელონ, სადაც ამის საშუალებას მისცემენ შრომითი, მატერიალური და სხვა რესურსები, ღონისძიებანი მუშაობის ცვლადობის გადიდებისათვის, აგრეთვე უწყვეტი წარმოების გრაფიკის შემოღებისათვის იმ საწარმოებში, რომლებიც უშვებენ სახალხო მოხმარების საგნებს და დეფიციტური სახეობის პროდუქციას და სამ ცვლად მუშაობენ.

ახალი სამრეწველო მშენებლობის საკითხების განხილვისას გაითვალისწინონ სამუშაო კვირის ახალი რეჟიმის პირობებში პროდუქციის გამოშვების გადიდების შესაძლებლობა ანალოგიურ მოქმედ საწარმოთა ძირითადი ფონდების უკეთ გამოყენების გზით.

4. დაევალოთ ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტს, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს, საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს, საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს და სხვა სამინისტროებს, საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც დაკავშირებულნი არიან მოსახლეობის მომსახურებასთან:

შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ მუშებისა და მოსამსახურეების კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებას ორდღიანი დასვენების პირობებში;

უზრუნველყონ საჭირო ცვლილებანი მოსახლეობის მომსახურებასთან დაკავშირებული საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების (საქალაქო და საგარეუბნო სამგზავრო ტრანსპორტის, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების, კულტურისა და ხელოვნების, კომუნალური და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებისა და ორგანიზაციების, საბავშვო და სამედიცინო დაწესებულებების და სხვ.) მუშაობის რეჟიმში, მუშათა და მოსამსახურეთა შრომისა და დასვენების ახალი პირობების შესაბამისად.

5. დაევალოთ ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს კპ საოლქო, საქა-

ლაქო და რაიონულ კომიტეტებს, რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს შესაბამის პროფკავშირულ ორგანოებთან ერთად ყოველდღიური კონტროლი გაუწიონ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მუშებისა და მოსამსახურეების გადაყვანას ხუთ სამუშაო და ორ დასვენებისდღიან კვირაზე.

6. საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო, რაიონულმა კომიტეტებმა და პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა უზრუნველყონ საჭირო ორგანიზაციული და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის ჩატარება, რაც დაკავშირებულია მუშებისა და მოსამსახურეების ხუთდღიან სამუშაო კვირაზე გადაყვანასთან.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე	საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე
ვ. მჟავანაძე.	**გ. ჯავახიშვილი.**	**შ. კიკნაძე.**

ქ. თბილისი, 1967 წ. 7 აპრილი № 235.

ასლი

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭო დადგენილება № 199

1967 წლის 7 მარტი

საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მუშებისა და მოსამსახურეების ხუთ სამუშაო და ორ დასვენებისდღიან კვირაზე გადაყვანის შესახებ

სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად, მუშა-მოსამსახურეთა შრომის პირობების შემსუბუქების, მათი კვალიფიკაციისა და კულტურული დონის შემდგომი ამაღლებისათვის შესაძლებლობათა გაფართოების მიზნით, აგრეთვე წარმოების უფრო რაციონალური ორგანიზაციის, შრომის ნაყოფიერების და საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის შემდგომი ზრდის მიზნით, სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭო ადგენენ:

1. განხორციელდეს სახელმწიფო, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მუშა-მოსამსახურეების გეგმაზომიერი გადაყვანა ხუთდღიან სამუშაო კვირაზე (ხუთი სამუშაო და ორი დასვენების დღე), ამასთან შენარჩუნებულ იქნას ერთი კვირის სამუშაო დროის საერთო ხანგრძლიობა, რომელიც დაწესებულია ამჟამად. ძირითადად ეს გადა-

ყვანა დამთავრდეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისათვის.

იმ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მუშებისა და მოსამსახურეებისათვის, რომელთა გადაყვანა ხუთ სამუშაო და ორ დასვენებისდღიან კვირაზე წარმოების ხასიათისა და მუშაობის პირობების მიხედვით, მიზანშეუწონელია, — დარჩეს სამუშაო კვირის წინანდელი რეჟიმი.

წარედგინოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს პროექტი ბრძანებულებისა ამ საკითხზე.

2. დადგენილ იქნას საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მუშებისა და მოსამსახურეების ხუთ სამუშაო და ორ დასვენებისდღიან კვირაზე გადაყვანის შემდეგი წესი:

ა) მუშათა და მოსამსახურეთა გადაყვანა ხუთდღიან სამუშაო კვირაზე ხორციელდება, როგორც წესი, ერთდროულად ყველა საწარმოში, დაწესებულებასა და ორგანიზაციაში, რომლებიც მდებარეობენ მოკავშირე რესპუბლიკის (რომელსაც საოლქო დაყოფა არა აქვს), ავტონომიური რესპუბლიკის, მხარის, ოლქის, ქალაქის ან მუშათა დაბის ტერიტორიაზე;

ბ) მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, სსრ კავშირის სამინისტროებთან და უწყებებთან, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ცენტრალურ ორგანოებთან და პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოებთან ერთად, შეიმუშავებენ სახელმწიფო, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მუშებისა და მოსამსახურეების ხუთდღიან სამუშაო კვირაზე გადაყვანის კალენდარულ გეგმებს ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეების, ოლქებისა და დიდი სამრეწველო ცენტრების მიხედვით და განსახილველად წარუდგენენ ამ გეგმებს საჭირო მასალებითა და დასაბუთებით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს.

აღნიშნული გეგმებისა და მასალების წინასწარ განსახილველად შეიქმნას სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან კომისია სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის, პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს, გზათა სამინისტროს და სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის სამინისტროს წარმომადგენელთა შემადგენლობით;

გ) დამტკიცებული კალენდარული გეგმების შესაბამისად, მუშებისა და მოსამსახურეების გადაყვანა ხუთდღიან სამუშაო კვირაზე განხორციელდება:

საერთო საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებებისადმი დაქვემდებარებულ სახელმწიფო საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში — სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების და პროფკავშირთა ცენტრალური კომიტეტების ერთობლივი გადაწყვეტილებებით, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან შეთანხმებით ან მათი დასტურით — ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან, მშრომელთა დეპუტატების საოლქო (სამხარეო) აღმასკომებთან შეთანხმებით;

რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების სახელმწიფო საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში — მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების გადაწყვეტილებებით ან მათი დასტურით — რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებების, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, მშრომელთა დეპუტატების საოლქო (სამხარეო) საბჭოების აღმასკომების გადაწყვეტილებებით, რომლებიც მიღებული იქნება შესაბამის პროფკავშირულ ორგანოებთან ერთად;

კოოპერაციულ და საზოგადოებრივ საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში — იმ წესით, რასაც დაადგენენ კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ცენტრალური ორგანოები მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან შეთანხმებით;

დ) სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების აპარატის მუშაკთა გადაყვანა ხუთდღიან სამუშაო კვირაზე განხორციელდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებებით, ხოლო მოკავშირე რესპუბლიკების რესპუბლიკური და საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროების, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების და მშრომელთა დეპუტატების საოლქო (სამხარეო) საბჭოების აღმასკომების აპარატის მუშაკებისა — მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების გადაწყვეტილებებით.

3. დაევალოთ სამინისტროებსა და უწყებებს, მშრომელთა დეპუტატების საოლქო (სამხარეო) აღმასკომებს, საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს და პროფკავშირთა შესაბამის კომიტეტებსა და საბჭოებს ხუთდღიან სამუშაო კვირაზე მუშაკთა გადაყვანამდე გასწიონ მუშა-მოსამსახურეთა ფართო აქტივის მონაწილეობით გულმოდგინე მოსამზადებელი მუშაობა შრომისა და წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის, იმ ვარაუდით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მუშაობის ახალი რეჟიმის დროს წარმოების (სამუშაოთა მოცულობის), შრომის ნაყოფიერების ზრდის ყველა დაწესებული დავალების, მოგებისა და საბიუჯეტო გადასახდელთა გეგმის, აგრეთვე სამუშაოთა წარმოების უსაფრთხო პირობების შექმნის ღონისძიებათა შესრულება.

საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებმა პროფკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებთან შეთანხმებით განსაზღვრონ ცვლების დაწყებისა და დამთავრების ყველაზე რაციონალური დრო, წარმოების ხასიათისა და მუშაკთა კოლექტივების ინტერესების გათვალისწინებით.

4. სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა:

სამრეწველო საწარმოთა და მშენებლობათა მუშებისა და მოსამსახურეების ხუთდღიან სამუშაო კვირაზე გადაყვანის დროს უზრუნველყონ ძირითადი საწარმოო ფონდების გამოყენების ეფექტიანობის ზრდა, კერძოდ, შეიმუშაონ და, სადაც ამის საშუალებას მისცემენ შრომითი, მატერიალური და სხვა რესურსები, განახორციელონ ღონისძიებანი მუშაობის ცვლადობის გადიდებისა-

თვის, აგრეთვე უწყვეტი წარმოების გრაფიკის შემოღებისათვის იმ საწარმოებში, რომლებიც უშვებენ სახალხო მოხმარების საგნებს და დეფიციტური სახეობის პროდუქციას და სამ ცვლად მუშაობენ.

ახალი სამრეწველო მშენებლობის საკითხების განხილვისას გაითვალისწინონ შესაძლებლობა პროდუქციის გამოშვების გადიდებისა სამუშაო კვირის ახალი რეჟიმის პირობებში ანალოგიურ მოქმედ საწარმოთა ძირითადი ფონდების უკეთ გამოყენების გზით.

5. დაევალოთ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამინისტროებსა და უწყებებს, საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს, მუშებისა და მოსამსახურეების ხუთდღიან სამუშაო კვირაზე გადაყვანის დროს:

კიდევ უფრო გააუმჯობესონ საწარმოთა შორის, აგრეთვე საწარმოთა და მომმარაგებელ, გამსაღებელ და სატრანსპორტო ორგანიზაციებთან არსებული საწარმოო და სხვა სამეურნეო ურთიერთობა;

შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი კვირის განმავლობაში ტვირთის თანაბარი დატვირთვისა და გადმოტვირთვისათვის, ამასთან არ დაუშვან რკინიგზის ვაგონების, სამდინარო და საზღვაო ფლოტის გემებისა და ავტოსატრანსპორტო საშუალებათა ზენორმატიული მოცდენა.

საწარმოებმა და ორგანიზაციებმა (მათ შორის საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოებმა და ორგანიზაციებმა), რომლებიც ტვირთს გზავნიან და იღებენ რკინიგზის სადგურების, ნავსადგურებისა და ნავმისადგომების საშუალებით, ამ ტვირთის გაცემა, დატვირთვა, გადმოტვირთვა, მიტანა და მიღება უნდა აწარმოონ კვირის ყველა დღეს.

6. სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტრომ, სსრ კავშირის ხეტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრომ, სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტრომ, სსრ კავშირის ფერადი მეტალურგიის სამინისტრომ და სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრომ შეიმუშაონ და განახორციელონ გზათა სამინისტროს, საზღვაო ფლოტის სამინისტროს და მოკავშირე რესპუბლიკების სამდინარო ტრანსპორტის ხელმძღვანელი ორგანოების მონაწილეობით ღონისძიებანი, რომელთა მიზანია ქვანახშირის, ხე-ტყის, მადნის, ლითონისა და საშენი მასალების გეგმაზომიერად გაგზავნა და სატრანსპორტო საშუალებათა უფრო სრულად და რაციონალურად გამოყენება სამუშაო კვირის ახალი რეჟიმის პირობებში.

7. დაევალოთ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, მშრომელთა დეპუტატების საოლქო (სამხარეო) საბჭოების აღმასკომებს, სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ კინემატოგრაფიის კომიტეტს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის კომიტეტს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტს, სსრ კავშირის გზათა სამინისტროს, კავშირგაბმულობის სამინისტროს, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს, აგრეთვე სხვა სა-

მინისტროებსა და უწყებებს, რომელთა საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები დაკავშირებული არიან მოსახლეობის მომსახურებასთან:

შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ მუშათა და მოსამსახურეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებას ორდღიანი დასვენების პირობებში.

უზრუნველყონ საჭირო ცვლილებანი მოსახლეობის მომსახურებასთან დაკავშირებული საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების (საქალაქო და საგარეუბნო სამგზავრო ტრანსპორტის, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების, კულტურისა და ხელოვნების, კომუნალური და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებისა და ორგანიზაციების, საბავშვო და სამედიცინო დაწესებულებების და სხვ.) მუშაობის რეჟიმში, მუშათა და მოსამსახურეთა შრომისა და დასვენების ახალი პირობების შესაბამისად.

8. საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მუშებისა და მოსამსახურეების ხუთ სამუშაო და ორ დასვენებისდღიან კვირაზე გადაყვანის დროს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ხანგრძლიობა მორიგი და დამატებითი შვებულებისა კვირაში დასვენების მეორე დღის ხარჯზე არ გადიდდება.

9. დაწესდეს, რომ ამ დადგენილების მოქმედება არ ვრცელდება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებზე, უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებსა და პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის სასწავლებლებზე.

10. მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალურმა კომიტეტებმა, პარტიის საოლქო, სამხარეო, რაიონულმა, საქალაქო კომიტეტებმა და პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა უზრუნველყონ საჭირო ორგანიზაციული და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის ჩატარება, რაც დაკავშირებულია მუშებისა და მოსამსახურეების ხუთდღიან სამუშაო კვირაზე გადაყვანასთან.

11. დაევალოთ სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს, მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებსა და მინისტრთა საბჭოებს შესაბამის პროფკავშირულ ორგანოებთან ერთად ყოველდღიური კონტროლი გაუწიონ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მუშებისა და მოსამსახურეების გადაყვანას ხუთ სამუშაო და ორ დასვენებისდღიან კვირაზე ამ დადგენილების შესაბამისად.

12. დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტს, პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოსთან ერთად, აძლიოს საჭირო განმარტებანი დღიური სატარიფო განაკვეთებისა და გამომუშავების ნორმების წესის შესახებ, მოზარდთა და შრომის მავნე პირობებიან წარმოებაში მომუშავე პირთა სამუშაო ცვლის ხანგრძლიობის, დროებითი შრომის უუნარობის გამო დახმარების გაცემის წესის, იმ პირებისათვის მუშაობის ადგილზე სასწავლო შვებულების მიცემის შესახებ, რომლებიც წარმოებისაგან მოუწყვეტლივ სწავლობენ, და საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მუშებისა და მოსამსახურეების ხუთ სამუშაო და ორ დასვენებისდღიან კვირაზე გადაყვანასთან დაკავშირებით შრომითი კა-

ნონმდებლობის შეფარდების სხვა საკითხებზე, აგრეთვე შეიმუშაოს და ერთი თვის ვადაში გამოსცეს საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში მუშაობის რეკომენდებული გრაფიკები.

13. დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოსთან ერთად, წარმოუდგინოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სსრ კავშირის მთავრობის იმ გადაწყვეტილებათა ნუსხა, რომლებიც უნდა შეიცვალოს ან გაუქმდეს ამ დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი	სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე	საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე
ლ. ბრეჟნევი.	**ა. კოსიგინი.**	**ვ. გრიშინი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებები

4 დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავად საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომების სოციალისტური შეჯიბრების პირობების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დამტკიცდეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავად საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომების სოციალისტური შეჯიბრების თანდართული პირობები.

2. დაწესდეს სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომებისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 3 გარდამავალი წითელი დროშა პირველი ფულადი პრემიებით თითო 250 მანეთის რაოდენობით, სამი მეორე პრემია თითო 150 მანეთის და სამი მესამე პრემია თითო 100 მანეთის რაოდენობით.

დაწესდეს, რომ მიკუთვნებული პრემიების საერთო თანხიდან იმ სასოფლო (სადაბო) საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებსა და მდივნებს, რომლებმაც პირველი ადგილი დაიკავეს, მიეცემათ თვიური თანამდებობრივი განაკვეთი,

რომლებმაც დაიკავეს მეორე ადგილი — თვიური თანამდებობრივი განაკვეთის 40 პროცენტი და მესამე ადგილი — 30 პროცენტი, ხოლო პრემიის თანხის დანარჩენი ხაწილი დაიხარჯება საბჭოების აქტივის დასაჯილდოებლად.

3. მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომების საიუბილეო სოციალისტური შეჯიბრების შედეგები დამტკიცდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის ერთობლივი დადგენილებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ადგილობრივი საბჭოთა ორგანოების განყოფილების და სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის წარდგენით არა უგვიანეს 1967 წლის 1 ნოემბრისა.

4. დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს გამოყოს ამ დადგენილების მე-2 პუნქტის შესაბამისად საჭირო სახსრები რესპუბლიკური ბიუჯეტიდან.

5. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების (ჭიათურის და ტყიბულის საქალაქო საბჭოების) აღმასკომებს, სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირების შესაბამის კომიტეტებს:

ა) მოაწყონ სოციალისტური შეჯიბრების პირობების ფართოდ განხილვა კოლმეურნეთა, მუშათა და მოსამსახურეთა კრებებზე, სასოფლო, სადაბო საბჭოების სესიებზე, იკისრონ კონკრეტული ვალდებულებანი და დასახონ ღონისძიებანი მათი შესრულებისათვის;

ბ) მოაწყონ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების ყოველკვარტალური შემოწმება, განაზოგადონ და გაავრცელონ მუშაობის საუკეთესო გამოცდილება, დახმარება გაუწიონ ჩამორჩენილ სასოფლო და სადაბო საბჭოებს არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და მათ წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით შესრულების საქმეში;

გ) ანგარიში სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომების სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შესახებ წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმს 1967 წლის 1 ოქტომბრისათვის.

6. დაევალოთ რესპუბლიკური და ადგილობრივი გაზეთების რედაქციებს ფართოდ გააშუქონ სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომების სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობა.

* *
*

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი მოუწოდებენ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომების მუშაკებსა და აქტივს ფართოდ ჩაებან სოციალისტურ შეჯიბრებაში და მსოფლიო-ისტორიულ თარიღს — დი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს შეხვდნენ ყველა ნაკისრი ვალდებულების უცილობლივ შესრულებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**	საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე **შ. კიკნაძე.**

ქ. თბილისი, 1967 წ. 7 მარტი № 143.

 დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
და საქართველოს პროფკავშირთა
რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის
1967 წლის 7 მარტის № 143
დადგენილებით

პ ი რ ო ბ ე ბ ი

მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრებისა

სკკპ XXIII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი მოითხოვენ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოებისაგან ადამიანებთან ორგანიზატორული და მასობრივ-აღმზრდელობითი მუშაობის მნიშვნელოვნად გაძლიერებას, მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების შემდგომ გაუმჯობესებას.

ამ მოთხოვნების შესასრულებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმს მიზანშეწონილად მიაჩნიათ ფართოდ გაიშალოს სოციალისტური შეჯიბრება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავად. საჭიროა ყოველდღიურად ამაღლდეს და სრულყოფილ იქნას ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების მუშაობის შინაარსი, სტილი და მეთოდები, კიდევ უფრო აქტიური გახდეს დეპუტატების, მუდმივი კომისიების, საზოგადოებრივი თვითმოქმედი ორგანიზაციების საქმიანობა, მიღწეულ იქნას მშრომელთა ფართოდ მოზიდვა საბჭოებისა და მათი აღმასკომების მუშაობაში.

სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომების სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულებად ჩაითვლებიან ის აღმასკომები, რომლებიც:

I. სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის დარგში

1. მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულებენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისა და დამზადების, ადგილობრივი მრეწველობის განვითარების სახელმწიფო გეგმებს, დახმარებას გაუწევენ კოლმეურნეობებს,

საბჭოთა მეურნეობებს, საწარმოებს საზოგადოებრივი მეურნეობის ყველა დარგის წარმატებით განვითარების, მათი შრომის ნაყოფიერების ამაღლების, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და შრომის დისციპლინის განმტკიცების საქმეში.

2. განახორციელებენ იმისადმი მუდმივ კონტროლს, რომ დაცულ იქნას სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდება, შესრულდეს კანონები მიწათსარგებლობის შესახებ, სწორად იქნას გამოყენებული და შენახული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, გაძლიერდეს ბრძოლა წანახედების წინააღმდეგ და ა. შ.

II. მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგში

1. მიაღწევენ მშრომელთა ფართო მონაწილეობას კომუნისტური შრომისა და ყოფაცხოვრებისათვის გაშლილ შეჯიბრებაში.

2. განახორციელებენ კონტროლს სკოლების, კლუბების, სამედიცინო და საბავშვო დაწესებულებათა მშენებლობისა და რემონტისადმი, სამკერვალო და სარემონტო სახელოსნოების, აბანოების, საპარიკმახეროებისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სხვა საწარმოების ქსელის გაფართოებისადმი და უზრუნველყოფენ მათი მუშაობის გაუმჯობესებას.

3. სისტემატურ კონტროლს გაუწევენ მაღაზიების, სასადილოებისა და საჩაიეების მუშაობას იმ მიზნით, რომ მათ სრულად დააკმაყოფილონ მოსახლეობის მოთხოვნილება.

4. უზრუნველყოფენ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობის უკეთეს ორგანიზაციას, ადგილობრივი ინტელიგენციის ფართოდ მოზიდვას მათ საქმიანობაში, მოსახლეობის კინომომსახურების გაუმჯობესებას, ათეისტური მუშაობის გაძლიერებას და სამოქალაქო წესჩვეულებებისა და ხალხური დღესასწაულების უკეთ მოწყობას.

5. წარმატებით განახორციელებენ საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონს, გააუმჯობესებენ სკოლების, სასკოლო ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და ბაღების მუშაობას.

განახორციელებენ ღონისძიებებს სოფლის მასწავლებელთა საყოფაცხოვრებო მოწყობისა და სკოლების მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის.

6. დახმარებას გაუწევენ სამედიცინო დაწესებულებებს მოსახლეობაში პროფილაქტიკურ და გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა გატარების, აგრეთვე დასახლებული პუნქტების სანიმუშო სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფის საქმეში.

7. წარმატებით განახორციელებენ დასახლებული პუნქტების რადიოფიკაციისა და ტელეფონიზაციის ღონისძიებებს, უზრუნველყოფენ კავშირგაბმულობის დაწესებულებათა ზუსტ მუშაობას.

8. ხელს შეუწყობენ ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრივ განვითარებას მოსახლეობაში, განახორციელებენ სასოფლო სპორტულ საზოგადოებათა მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებებს.

VII. მშენებლობისა და კეთილმოწყობის დარგში

1. ფართოდ გაშლიან მოსახლეობაში სოციალისტურ შეჯიბრებას სოფლის (დაბის) კულტურისათვის.

2. უზრუნველყოფენ წყალსადენების, აბანოების, ხიდების, ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობას.

ფართოდ ჩააბავენ სოფლის მოსახლეობას დასახლებული პუნქტებისა და გზების კეთილმოწყობისა და გამწვანების სამუშაოებში.

3. მიაღწევენ იმას, რომ მოქალაქეებმა სანიმუშოდ შეინახონ საცხოვრებელი სახლები, ბინები, ბაღები, ეზოები, საქვეითო გზები, გადასასვლელი ხიდები.

IV. საფინანსო მუშაობის დარგში

ვადამდე შეასრულებენ სასოფლო და სადაბო საბჭოების ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილს და დროულად დააფინანსებენ ბიუჯეტით გათვალისწინებულ ღონისძიებებს, უზრუნველყოფენ თვითდაბეგვრის სახსრების სრულად აკრეფას და მათ გამოყენებას დანიშნულებისამებრ, აგრეთვე განახორციელებენ საჭირო ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სახელმწიფო სახსრებისა და მატერიალურ ფასეულობათა დაცვა-შენახვას.

V. ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობისა და წესრიგის დაცვის დარგში

1. უზრუნველყოფენ საბჭოთა კონსტიტუციისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების მოქმედი დებულებების განუხრელად განხორციელებას; დაიცავენ სესიების მოწვევის ვადებს, დახმარებას გაუწევენ დეპუტატებს, მუდმივ კომისიებს და საზოგადოებრივ თვითმოქმედ ორგანიზაციებს მათს მუშაობაში.

2. რეგულარულად ჩაატარებენ ყველა დასახლებულ პუნქტში მოქალაქეთა კრებებს, ყრილობებს სოფლისა და დაბის ცხოვრების უმნიშვნელოვანესი საკითხების გადასაწყვეტად.

3. უზრუნველყოფენ პარტიისა და მთავრობის სახელმძღვანელო დადგენილებათა, ადგილობრივი საბჭოებისა და მათი აღმასკომების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა, ამომრჩეველთა განაწესების შესრულებას, ყურადღებით მოეკიდებიან მშრომელთა მოთხოვნილებებს, მათ კრიტიკულ შენიშვნებს, დროულად განიხილავენ მოქალაქეთა განცხადებებსა და საჩივრებს.

4. უზრუნველყოფენ სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებას, ბრძოლის გაძლიერებას იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

5 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 20 იანვრის № 39 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებათა გაუქმების შესახებ

შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 20 იანვრის № 39 დადგენილებისა „მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა მუშაობის გაუმჯობესების ზომების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 15 მაისის № 384 დადგენილებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა გაუქმების თაობაზე“, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

ა) პუნქტი 3 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 19 ივნისის № 762 დადგენილებისა „მოსახლეობისათვის ფეხსაცმლის, ტანსაცმლისა და ლითონის ნაკეთობათა შემკეთებელი სახელოსნოების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ“;

ბ) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 5 სექტემბრის № 1081 განკარგულების პუნქტი 3.

2. მიღებულ იქნას ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 20 იანვრის № 39 დადგენილებით გაუქმებულია:

ა) მუშაკთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების და წარმოების სრულყოფისათვის საწარმოს ფონდის იმ დებულების მე-5 პუნქტის ქვეპუნქტი „დ“ და მე-7 პუნქტი, რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 4 თებერვლის № 99 დადგენილებით და დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 11 თებერვლის № 136 განკარგულებასთან ერთად, იმ ნაწილში, რომელიც შეეხება ანარიცხების ოდენობას მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოს ფონდში მოგებიდან ან პროდუქციის თვითღირებულების შემცირების ეკონომიის თანხიდან, რაც მიღებულია მოსახლეობის შეკვეთებით მომსახურების გაწევასთან უშუალოდ დაკავშირებული საქმიანობისაგან;

ბ) მუშაკთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისა და წარმოების სრულყოფისათვის სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების საწარმოთა (ორგანიზაციათა) ფონდების იმ დებულების XI განაყოფის მე-4 პუნქტი, რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 22 მაისის № 563 დადგენილებით და დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 28 მაისის № 685 განკარგულებასთან ერთად, იმ ნაწილში, რომელიც შეეხება ანარიცხების ოდენობას მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოს ფონდში, მოგებიდან ან გეგმიანი ზარა-

ლის შემცირების თანხიდან, რაც მიღებული იქნება მოსახლეობის შეკვეთებით მომსახურების გაწევასთან უშუალოდ დაკავშირებული საქმიანობისაგან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1967წ. 6 მარტი № 137.

6 საქართველოს სსრ ადგილობრივ მრეწველობის და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროების იმ რეზერვის შესახებ, რომელიც განკუთვნილია საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციებისათვის ფინანსური დახმარების გასაწევად

შესაბამისად სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 4 ოქტომბრის № 729 დადგენილებისა „სამრეწველო წარმოების დაგეგმვის სრულყოფისა და ეკონომიური სტიმულირების გაძლიერების შესახებ“ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 3 იანვრის № 1 დადგენილებისა „სამინისტროებისა და უწყებების იმ რეზერვის შესახებ, რომელიც განკუთვნილია საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციებისათვის ფინანსური დახმარების გასაწევად“, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაწესდეს ზღვრული ნორმები დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადაყვანილ საწარმოთა ანარიცხებისა სამინისტროების იმ რეზერვში, რომელიც განკუთვნილია საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციებისათვის ფინანსური დახმარების გასაწევად:

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს ხაზით:

— რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებისათვის — 1,5 პროცენტი;

— მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების ქვესაუწყებო საწარმოებისათვის — 2 პროცენტი;

საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს ხაზით:

— რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებისათვის — 1,5 პროცენტი;

— მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების ქვესაუწყებო საწარმოებისათვის — 1,8 პროცენტი;

უფლება მიენიჭოთ ზემოაღნიშნულ სამინისტროებს მოახდინონ რეზერვში გადასარიცხავი თანხების ოდენობის დიფერენცირება ცალკეული საწარმოების მიხედვით, ამ პუნქტით დაწესებული საერთო ნორმის ფარგლებში.

2. შენარჩუნებულ იქნას სამინისტროების იმ რეზერვის შექმნის მოქმედი წესი, რომელიც განკუთვნილია იმ საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციე-

ბისათვის ფინანსური დახმარების გასაწევად, რომლებიც არ არიან გადაყვანილი დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე.

3. დაწესდეს, რომ სამინისტროების იმ რეზერვში მოგების ანარიცხებს, რომელიც განკუთვნილია საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციებისათვის ფინანსური დახმარების გასაწევად, გაითვალისწინებენ დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადაყვანილი საწარმოები შემოსავალ-გასავლის ბალანსებით (საფინანსო გეგმებით). ამასთან მთლიანად სამინისტროს ხაზით აღნიშნული რეზერვის საერთო თანხა, დაგეგმილი წლის დამდეგისათვის მისი ნაშთის ჩათვლით, არ უნდა აღემატებოდეს რეზერვის იმ ოდენობას, რაც გამოანგარიშებულია ამ დადგენილებით დაწესებული ნორმების მიხედვით, დაგეგმილი წლის მოგების საფუძველზე.

4. დაწესდეს, რომ ამ დადგენილების შესაბამისად შექმნილი რეზერვი, რომელიც განკუთვნილია საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციებისათვის ფინანსური დახმარების გასაწევად, შეიძლება გამოყენებულ იქნას:

— დასაბრუნებელი სესხის მისაცემად იმ საწარმოებისათვის, რომლებიც დროებით ფინანსურ სიძნელეებს განიცდიან, იმ ვარაუდით, რომ დაიფაროს ეს სესხი ერთ წლამდე ვადაში;

აღნიშნული სესხის გაცემა შეიძლება მოხდეს იმ პირობით, თუ შემუშავებული იქნება ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ იმ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას, რამაც გამოიწვია საფინანსო სიძნელეები საწარმოებში;

— იმ ზარალის ასანაზღაურებლად, რაც საწარმოებს მოუვიდათ იმის შედეგად, რომ დადგენილი წესით შეიცვალა ამ საწარმოთა გეგმები.

5. მიღებულ იქნას ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1967 წლის 3 იანვრის № 1 დადგენილებით დაავალა სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკთან ერთად, შეიმუშაოს და ორი თვის ვადაში დაამტკიცოს დებულება სამინისტროებისა და უწყებათა იმ რეზერვის შექმნის, გამოყენებისა და აღრიცხვის წესის შესახებ, რომელიც განკუთვნილია საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციებისათვის ფინანსური დახმარების გასაწევად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1967 წ. 7 მარტი № 140.

7 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 30 ივლისის № 462 დადგენილების დამატების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

დამატებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 30 ივლისის № 462 დადგენილებისა „იმ ავტომანქანების ექსპლუატაციის პირობების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც უფასოდ ეძლევათ ინვალიდებს“, დაწესდეს, რომ სამამულო ომის ინვალიდებს და სხვა ინვალიდებს სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვიდან, რომლებსაც ჰყავთ მათ მიერ შეღავათიან ფასებში შეძენილი ხელით სამართავი ავტომობილები „მოსკვიჩი“ და „ზაპოროჟეცი“, შეუძლიათ უფასოდ შეინახონ ისინი მთელი დღე-ღამის განმავლობაში დაცულ გასაჩერებლებზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1967 წ. 7 მარტი № 142.

8 საქართველოს სსრ ტერიტორიაზე საცალო ქსელში ნაყიდი სამრეწველო საქონლის გამოცვლის წესების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სახელმწიფო და კოოპერაციულ საცალო სავაჭრო ქსელში ნაყიდი სამრეწველო საქონლის გამოცვლის წესები, დანართის თანახმად.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 24 დეკემბრის № 732 დადგენილება „საცალო სავაჭრო ქსელში ნაყიდი სამრეწველო საქონლის გამოცვლის წესების დამტკიცების შესახებ“ და 1965 წლის 3 დეკემბრის № 691 დადგენილება „საქართველოს სსრ ტერიტორიაზე საცალო სავაჭრო ქსელში ნაყიდი სამრეწველო საქონლის გამოცვლის წესების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1967 წ. 10 მარტი № 147.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1967 წლის 10 მარტის № 147
დადგენილებით

წესები

სახელმწიფო და კოოპერაციულ საცალო სავაჭრო ქსელში ნაყიდი სამრეწველო საქონლის გამოცვლისა

იმ სამრეწველო საქონლის გამოცვლის წესი, რომლისთვისაც დაწესებულია ხმარების საგარანტიო ვადები

1. თუ საცალო სავაჭრო ქსელში შეძენილ სამრეწველო საქონელს, რომლისთვისაც დაწესებულია ხმარების საგარანტიო ვადები, აღმოაჩნდა ნაკლი და დეფექტები, მყიდველი იმ პასპორტში (საგარანტიო ტალონში) აღნიშნული საგარანტიო ვადის გასვლამდე, რომელიც დართული აქვს საქონელს, მიმართავს ნაკლისა და დეფექტების უფასოდ გამოსწორებისათვის საგარანტიო რემონტის სახელოსნოს (ატელიეს) საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო იმ პუნქტებში, სადაც ასეთი სახელოსნოები არ არის, — მაღაზიას საქონლის ყიდვის ადგილზე.

2. უწესივრო საქონლის გამოცვლა, რომლისთვისაც დაწესებულია ხმარების საგარანტიო ვადები, წარმოებს შემდეგი წესით:

ა) ტელევიზორები, ტელერადიოლები, რადიომიმღებები, რადიოლები, მაგნიტოფონები, მაგნიტოლები, ელექტროფირსაკრავები და სხვა რადიოაპარატურა გამოიცვლება ახალ ნაკეთობებზე მაღაზიებში მათი ყიდვის ადგილზე იმ შემთხვევებში:

— თუ რადიოაპარატების საგარანტიო მომსახურების სახელოსნოს (ატელიეს) ან დამამზადებელ საწარმოს არ შეუძლია მყიდველის წერილობითი განცხადების მიღებიდან 10 დღის ვადაში გამოასწოროს უწესივრობანი დაყენების ადგილზე ან სახელოსნოში, რემონტის სირთულის ან საჭირო სათადარიგო ნაწილების უქონლობის გამო;

— თუ ერთი რთული რემონტის შემდეგ, რაც დაკავშირებულია ძირითადი კვანძების გამოცვლასთან, ეს საქონელი საჭიროებს ასეთივე სირთულის განმეორებითს რემონტს;

— თუ სამი წვრილმანი რემონტის შემდეგ, რომლებიც დაკავშირებულია ცუდი კონტაქტების, შერთვების აღმოფხვრასთან ან ვაკუუმური ნაკეთობების,

ნახევრადგამტარი ხელსაწყოების, კონდენსატორების, წინაღობებისა და სხვა წვრილმანი დეტალების გამოცვლასთან, ეს საქონელი ასეთსავე რემონტს საჭიროებს;

ბ) პიანინოები, როიალები, ველოსიპედები, სარეცხი მანქანები, უნივერსალური სამზარეულო მანქანები, საკერავი მანქანები, კონდიციონერები და სხვა მსხვილგაბარიტული ნაკეთობანი, აგრეთვე ელექტრომრიცხველები გამოიცვლება ახალზე იმ მაღაზიაში, სადაც ისინი ნაყიდია, იმ შემთხვევაში, თუ ნაკეთობის რემონტი მის ადგილსამყოფელზე ან საგარანტიო რემონტის სახელოსნოში (ატელიე) შეუძლებელია მყიდველის წერილობითი განცხადების მიღებიდან 10 დღის განმავლობაში, აგრეთვე ორჯერადი რემონტის შემდეგ, რაც დაკავშირებულია აგრეგატების, ცალკეული მსხვილი დეტალების კვანძებისა და ნაწილების გამოცვლასთან;

გ) ბაიანები, აკორდეონები, გარმონები, კინოკამერები, კინოპროექტორები, ფოტოაპარატები, ელექტროსამართებლები, ელექტროვაკუუმური ნაკეთობანი და სხვა ელექტროხელსაწყოები გამოიცვლება იმ მაღაზიაში, სადაც ისინი ნაყიდია, საწარმოო ხასიათის უწესივრობის დადგენისას, თუ ამ უწესივრობის გამოსწორება შეუძლებელია იმ დროიდან ერთი კვირის ვადაში, რაც მყიდველის წერილობითი განცხადება მიიღო დამამზადებელმა საწარმომ, საგარანტიო რემონტის სახელოსნომ (ატელიემ) ან მაღაზიამ (უკეთუ მოცემულ დასახლებულ პუნქტში არ მოიპოვება საგარანტიო მომსახურების სახელოსნო). ჩამოთვლილი ნაკეთობანი გამოიცვლება აგრეთვე ერთი რთული რემონტის შემდეგ და თუ საჭიროა ასეთი სირთულის განმეორებითი რემონტი;

დ) საათი გამოიცვლება იმ მაღაზიაში, სადაც ნაყიდია, ან დამამზადებელ ქარხანაში, თუ არსებობს საგარანტიო რემონტის სახელოსნოს დასკვნა, რომ უწესივრობა საწარმოო ხასიათისაა და არ შეიძლება მისი გამოსწორება იმ დროიდან ერთი კვირის ვადაში, რაც ისინი მყიდველმა წარადგინა, გაგზავნის დროის ჩაუთვლელად.

უწესივრობის განმეორებით აღმოჩენის შემთხვევაში შეკეთებული საათი უნდა გამოიცვალოს ახალზე იმავე ვადაში.

საათის წვრილმანი დეფექტები, რომელთა გამოსწორება მყიდველის თანდასწრებით შეიძლება (შუშის გამოვარდნა, კლინკერული ზამბარის გამოცვლა, მოსამართავი თავის გამოვარდნა, ისრების არევა) არ შეიძლება გახდეს საათის გამოცვლის საფუძველი.

ოქროს კორპუსიანი საათის უწესივრობისას გამოიცვლება მხოლოდ საათის მექანიზმი;

ე) მსუბუქი ავტომობილები, მოტოციკლები, მოტოროლერები, მოპედები, საყოფაცხოვრებო მაცივრები, ნავის მოტორები, მოტოველოსიპედები გამოიცვლება დამამზადებელ ქარხანაში ან იმ მაღაზიაში, სადაც ისინი ნაყიდია, თუ საგარანტიო მომსახურების სახელოსნო, რომელიც აწარმოებს რემონტს დამამზადებელი ქარხნის დავალებით, არ მოიყვანს ამ ნაკეთობებს ტექნიკურად წესიერ მდგომარეობაში იმ დროიდან ორი კვირის ვადაში, რაც მყიდველისაგან მიღებულია განცხადება უწესივრობის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსუბუქი ავტომობილების გამოცვლა წარმოებს იმ საექსპერტო კომისიის დასკვნით, რომელსაც მაღაზია შექმნის დამამზადებელი ქარხნისა და სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციის წარმომადგენლებისაგან;

ვ) ნაყიდ ავეჯში დეფექტების აღმოჩენისას მყიდველი ამას აცნობებს მაღაზიას, რომელიც მოვალეა გამოასწოროს დეფექტები არა უგვიანეს ერთი კვირის ვადისა.

თუ შეუძლებელია დეფექტების გამოსწორება აღნიშნულ ვადაში, მაღაზია ვალდებულია გამოცვალოს ავეჯი იმავე არტიკულის ნაკეთობაზე, ხოლო თუ ასეთი ავეჯი არ მოიპოვება და მყიდველი არ თანხმდება სხვა არტიკულების ავეჯის გამოცვლაზე, — დაუბრუნოს მყიდველს მისი ღირებულება გადახდილი თანხის მიხედვით.

თუ საჭირო გახდა ავეჯის გარნიტურში შემავალ ცალკეულ ნაკეთობათა გამოცვლა, მაშინ უნდა გამოიცვალოს მთელი გარნიტური. ავეჯის გარნიტურის ცალკეული საგნების გამოცვლა შეიძლება მოხდეს მყიდველის თანხმობით.

მაღაზიას უფლება ენიჭება, საქონლის ექსპერტიზის ბიუროს დასკვნის საფუძველზე, მოახდინოს მყიდველის თანხმობით დეფექტიანი ავეჯის ჩამოფასება მყიდველისათვის ფასის განსხვავების მიცემით, ისე, რომ ჩამოფასების თანხის ანაზღაურება დაეკისროს დამამზადებელ საწარმოს.

3. ამ წესების მე-2 პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში საგარანტიო რემონტის სახელოსნო გამოსწერს ცნობას უწესივრო ნაკეთობის ახალზე გამოცვლის შესახებ სამ ცალად, რომელთაგან ორი მიეცემა მყიდველს (მაღაზიას), ხოლო ერთი რჩება სახელოსნოში (ცნობის ფორმა თან ერთვის).

ხმარების საგარანტიო ვადიანი დეფექტიანი საქონლის გამოცვლას ან უკანვე მიღებას აწარმოებს მაღაზია ან დამამზადებელი ქარხანა მყიდველის წერილობითი განცხადებით, რომელსაც უნდა დაერთოს ნაკეთობის პასპორტი (საგარანტიო ტალონი) და საგარანტიო რემონტის სახელოსნოს ორი ცალი ცნობა, რომელიც ადასტურებს გამოცვლის უფლებას.

მაღაზია აღნიშნულ დოკუმენტებს გაუგზავნის დამამზადებელ ქარხანას. საგარანტიო რემონტის სახელოსნოს ცნობის ერთი ცალი რჩება მაღაზიაში.

ხმარების საგარანტიო ვადა გამოიანგარიშება იმ დღიდან, რაც გაიყიდა ნაკეთობა საცალო სავაჭრო ქსელის მეშვეობით. ნივთის გამოცვლისას საგარანტიო ვადა გამოიანგარიშება გამოცვლის დღიდან.

ის დრო, რომლის განმავლობაში ნაკეთობა შესაკეთებლად იყო გაჩერებული, დაწესებულ საგარანტიო ვადაში არ შედის.

4. ამ წესების მე-2 პუნქტში ჩამოთვლილი საქონელი გამოიცვლება ამავე მარკის (არტიკულის) წესიერ ნაკეთობებაზე, ხოლო თუ გასაყიდად არ მოიპოვება ამავე მარკის (არტიკულის) საქონელი, მყიდველის თანხმობით, — სხვა მარკის (არტიკულის) ასეთსავე საქონელზე, ღირებულების სათანადო გადაანგარიშებით.

თუ არ მოიპოვება გამოსაცვლელი საქონელი, მყიდველს აუნაზღაურდება დაბრუნებული ნივთის ღირებულება მის მიერ გადახდილი ფასის მიხედვით.

5. მსხვილგაბარიტული ნაკეთობების მიტანას დამამზადებელ საწარმოებში, საგარანტიო მომსახურების სახელოსნოებში (ატელიეებში) ან მაღაზიებში გამო-

საცვლელად ან ხმარების საგარანტიო ვადის პერიოდში აღმოჩენილი უწესივრობის გამოსასწორებლად და უკან მიტანას დასახლებული პუნქტის ფარგლებში, ხოლო სოფლად იმ რაიონის ფარგლებში, რომლებშიაც მყიდველი ცხოვრობს,— განახორციელებენ სახელოსნოები ან მაღაზიები ისე, რომ მყიდველს არ გადაახდევინებენ ამ ნაკეთობათა გადაზიდვის ქირას. ამ ხარჯებს მაღაზიებს ან საგარანტიო მომსახურების სახელოსნოებს აუნაზღაურებენ დამამზადებელი საწარმოები.

ასეთი გადაზიდვა შეთანხმების მიხედვით შეიძლება მოხდეს მყიდველის ხარჯზე. ამ შემთხვევაში მას აუნაზღაურდება გადაზიდვისათვის გაწეული ხარჯები ადგილებზე დაწესებული ტარიფების მიხედვით.

6. არ უნდა იქნას გამოცვლილი ან საგარანტიო წესით შეკეთებული ხმარების საგარანტიო ვადიანი ნაკეთობანი, რომელთა ტექნიკური უწესივრობა და დეფექტები წარმოიშვა იმის გამო, რომ მყიდველმა დაარღვია ნაწარმის სარგებლობის ან მისი შენახვის წესები. ნაყიდ ნივთში უწესივრობის ან დეფექტების წარმოშობის მიზეზების შესახებ წამოჭრილი უთანხმოების დროს საბოლოო დასკვნას უთანხმოების გამო მისცემს სასაქონლო ექსპერტიზის ბიურო, გარდა მსუბუქი ავტომობილებისა, რომელთა მიმართ გადაწყვეტილებას მიიღებს საექსპერტო კომისია.

ექსპერტს გამოიწვევენ შესაბამისად დამამზადებელი საწარმო, საგარანტიო მომსახურების სახელოსნო ან მაღაზია. ექსპერტიზის ხარჯებს გადაიხდის დამნაშავე მხარე.

იმ სამრეწველო საქონლის გამოცვლის წესები, რომელზედაც არ არის დადგენილი ხმარების საგარანტიო ვადები

7. მყიდველს, რომელმაც აღმოაჩინა დეფექტები მის მიერ ნაყიდ საქონელში, რომლისთვისაც არ არის დაწესებული სარგებლობის საგარანტიო ვადები (ტანსაცმელი, ქსოვილები, ბეწვეული, ხალიჩები და სხვა), უფლება აქვს გამოცვალოს ეს საქონელი ყიდვის ადგილზე 14 დღის განმავლობაში (ყიდვის დღის ჩაუთვლელად).

ცუდი ხარისხის საქონლის გამოცვლისას საქონელთან ერთად წარდგენილ უნდა იქნას მაღაზიის საკასო ან სასაქონლო ჩეკი და საქონელზე მიკრული საფაბრიკო იარლიყი (თუ საქონელი ასეთი იარლიყით იყიდება).

ისეთი საქონლის გამოცვლა, რომელიც იყიდება სასაქონლო ან საკასო ჩეკის და საფაბრიკო იარლიყის უქონლად, წარმოებს მაღაზიის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით.

თუ მაღაზიაში არ მოიპოვება შესაბამისი საქონელი გამოსაცვლელად, მყიდველს დაუყოვნებლივ დაუბრუნდება ფული იმ ოდენობით, რაც მან საქონლის ყიდვის დროს გადაიხადა.

8. უკეთუ ნაყიდ ნივთში აღმოჩენილ იქნა ფარული დეფექტები, რაც დადასტურებულია ლაბორატორიული ანალიზით ან საქონლის ექსპერტიზის ბიუროს

მიერ, მყიდველს უფლება აქვს გამოცვალოს იგი მაღაზიაში 4 თვის განმავლობაში. ნივთის გაგზავნას ლაბორატორიული ანალიზისათვის ან ექსპერტიზისათვის აწარმოებს მაღაზია იმ მომენტიდან 5 დღის ვადაში, რაც მიღებულია მყიდველის განცხადება ნივთის ცუდი ხარისხის შესახებ.

იმ საქონლისათვის, რომელშიაც აღმოჩენილია ფარული დეფექტები, მყიდველს ფული დაუბრუნდება იმ დროიდან სამი დღის ვადაში, რაც მიღებულ იქნა სასაქონლო ექსპერტიზის ბიუროს აქტი ან ლაბორატორიული ანალიზი, რომლებიც ადასტურებენ ნივთის ცუდ ხარისხს.

9. სეზონური საქონლისათვის (ტანსაცმელი, ბეწვეული და სხვა ნაწარმი) გამოცვლის შესახებ პრეტენზიების განცხადების ვადები გამოიანგარიშება იმ შესაბამისი სეზონის დადგომის მომენტიდან, რასაც რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტრო განსაზღვრავს ადგილობრივი პირობების საფუძველზე.

* *
*

10. საქონლის გამოცვლის ამ წესებით გათვალისწინებული პირობები და წესი ვრცელდება სამამულო და საიმპორტო საქონელზე, გარდა ჩამოფასებული საქონლისა, აგრეთვე იმ საქონლისა, რომელიც ნაყიდია საკომისიო მაღაზიებსა და შესყიდული ნივთების გასაყიდ მაღაზიებში.

ტექნიკურად რთული საქონელი, რომლის ხმარების საგარანტიო ვადა არ გასულა, უფასოდ უნდა იქნას შეკეთებული და გამოცვლილი საერთო საფუძვლებზე იმ შემთხვევაშიაც, თუ იგი ნაყიდია საკომისიო მაღაზიებში.

11. მაღაზიების მიერ მყიდველისაგან მიღებული ცუდი ხარისხის საქონელი დაუბრუნდება დამამზადებელ საწარმოს ან იმათ, ვისაც იგი მიუთითებს. დამამზადებელი საწარმოსათვის ცუდი ხარისხის საქონლის დაბრუნება ან ასეთი საქონლის გამოცვლა კარგი ხარისხის საქონელზე წარმოებს იმ წესით, რაც გათვალისწინებულია დებულებით სახალხო მოხმარების საქონლის მიწოდების შესახებ.

მაღაზიები, რომლებმაც მყიდველებისაგან მიიღეს ცუდი ხარისხის საიმპორტო საქონელი, მოვალენი არიან ჩააბარონ ეს საქონელი ამ საქონლის მიმწოდებელ შესაბამის საბითუმო სავაჭრო ბაზებს იმ დროიდან 5 დღის განმავლობაში, რაც მყიდველებმა მაღაზიას დაუბრუნეს ცუდი ხარისხის ნაწარმი. საბითუმო სავაჭრო ბაზები უცხოელი მიმწოდებლებისათვის პრეტენზიების წარსადგენად მოაწყობენ და უზრუნველყოფენ აქტების შედგენას სასაქონლო ექსპერტიზის ბიუროში ცუდი ხარისხის საქონლის მიღების მომენტიდან 10 დღის განმავლობაში.

12. მყიდველს უფლება ენიჭება 14 დღის განმავლობაში (ყიდვის დღის ჩაუთვლელად) გამოცვალოს მაღაზიაში ანალოგიურ საქონელზე მაღაზიაში შეძენილი კარგი ხარისხის ზედა სამკერვალო და ტრიკოტაჟის ნაწარმი, ქუდები, ცალობრივი საფეიქრო ნაწარმი, ქალის ჩანთები, თუ ნაყიდი საქონელი მისთვის მიუღებელია ფორმის, ფასონის, ფერის ან ზომის მიხედვით. გამოცვლა ხდება

მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ნივთი არ ყოფილა ხმარებაში, დაბრუნებულია დაუზიანებელი, გაუბინძურებელი სახით და მას თან ახლავს საფაბრიკო იარლიყი და სასაქონლო ან საკასო ჩეკი, რომელიც მაღაზიამ გასცა გაყიდულ საქონელთან ერთად.

13. საქონლის გამოცვლას მაღაზიაში ამ წესების შესაბამისად დადგენილი წესის მიხედვით აწარმოებს განყოფილების, სექციის გამგე, ხოლო პატარა მაღაზიებში — მაღაზიის გამგე.

14. ტყავის ფეხსაცმლის გამოცვლა წარმოებს გამოცვლის იმ წესების თანახმად, რომლებიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 14 ივლისის № 409 დადგენილებით.

საცალო სავაჭრო ქსელში ნაყიდი სამრეწველო
საქონლის გამოცვლის წესების დანართი

ცნობა

ნაკეთობის დასახელება და ტიპი _____

შასის № _____ კინესკოპის № _____

გამოშვების თარიღი _____ შეძენის თარიღი _____

საგარანტიო № _____

ეკუთვნის მოქალაქე _____

მცხოვრებს _____

დამამზადებელი საწარმოს მისამართი და მისი საგადამხდელო რეკვიზიტები —

შეკეთებული იყო: _____

დასახელება დეტალებისა, რომლებიც სახელოსნოში არ მოიპოვება: _____

ცნობა მიეცა _____

(უწყების დასახელება და სახელოსნოს მისამართი)

უწესივრო ნაკეთობის გამოსაცვლელად ახალზე.

სახელოსნოს (დამამზადებელი საწარმოს)
პასუხისმგებელი წარმომადგენელი

ბეჭდის ადგილი (ხელმოწერა)

„_____“ _____ 196 წ.

რემონტის შესახებ ჩანაწერები გაკეთდება სააღრიცხვო დოკუმენტაციის ჩანაწერების ზუსტი შესაბამისობით.

რემონტების (შემოწმების) ჩაწერისას აღინიშნება, თუ რამდენ ხანს იყო ნაკეთობა შესაკეთებლად ან შესამოწმებლად.

შენიშვნა: ავტომობილების გამოსაცვლელად ამ ცნობის ნაცვლად წარდგენილ უნდა იქნას საექსპერტო კომისიის დასკვნა.

9 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 3 იანვრის № 4 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებათა გაუქმების შესახებ

შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 3 იანვრის № 4 დადგენილებისა „სსრ კავშირის რკინიგზების ახალი წესდების დამტკიცებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა გაუქმების შესახებ“, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებანი თანდართული ნუსხის თანახმად.

2. მიღებულ იქნას ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 3 იანვრის № 4 დადგენილებით ძალადაკარგულად ითვლება:

ა) პუნქტი 15 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1946 წლის 9 ნოემბრის № 2445 დადგენილებისა „ქალაქებსა და დაბებში სურსათის და სამრეწველო საქონლის კოოპერაციული ვაჭრობის გაშლისა და კოოპერაციული საწარმოების მიერ სურსათისა და ფართო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდების შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1946 წლის 27 ნოემბრის № 1093 დადგენილებასთან ერთად;

ბ) პუნქტი 1 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 14 ნოემბრის № 5165 დადგენილებისა „მთელ რიგ სამინისტროებში სამრეწველო პროდუქციის საბითუმო ფასების და ელექტროენერგიისა და სატვირთო სარკინიგზო გადაზიდვის ტარიფების შემცირების შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 22 ნოემბრის № 1572 დადგენილებასთან ერთად, სატვირთო სარკინიგზო გადაზიდვის ტარიფების ნაწილში;

გ) პუნქტი 10 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 14 ნოემბრის № 5228 დადგენილებისა „მშენებლობაში ფოთლოვანი ჯიშების გამოყენების გაფართოების შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 22 ნოემბრის № 1576 დადგენილებასთან ერთად;

დ) სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 23 იანვრის № 178 დადგენილება „რკინიგზის სადგურებში, გემთმისადგომებსა და ნავსადგურებში მოუთხოვნელი ტვირთების შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 5 თებერვლის № 135 დადგენილებასთან ერთად, იმ ნაწილში, რომელიც სარკინიგზო გადაზიდვას შეეხება;

ე) პუნქტი 1 და მე-2 პუნქტის პირველი აბზაცი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 18 თებერვლის № 139 დადგენილებისა „წყალთა, სარკინიგზო და საავტომობილო ტრანსპორტით გადაზიდვისა და მომხმარებლებისათვის მიცემის დროს სტანდარტული წონის კაკაოს მარცვლის ტომრების აწონის გაუქმების შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრ-

თა საბჭოს 1961 წლის № 179 განკარგულებით, იმ ნაწილში, რომელიც სარკინიგზო ტრანსპორტით გადაზიდვას შეეხება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1967 წ. 18 მარტი № 162.

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1967 წლის 18 მარტის № 162
დადგენილებით

ნუსხა

საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებათა, რომლებიც გაუქმებულია, თანახმად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 3 იანვრის № 4 დადგენილებისა „სსრ კავშირის რკინიგზების ახალი წესდების დამტკიცებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა გაუქმების თაობაზე“

1. პუნქტი 3 საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 5 აგვისტოს № 851 დადგენილებისა „უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში მიღების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“.

2. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 10 აგვისტოს № 876 დადგენილება „შეშის მომარაგებისა და შეშის გადასაზიდად ვაგონების განაწილების 1944 წლის III კვარტალის გეგმის შესახებ“.

3. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 10 ნოემბრის № 1284 დადგენილება „შეშის მომარაგებისა და შეშის გადასაზიდად ვაგონების განაწილების 1944 წლის IV კვარტალის გეგმის შესახებ“.

4. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1945 წლის 27 მარტის № 382 დადგენილება „1945 წლის II და III კვარტალებისათვის მოწაფის რვეულების წარმოების გადიდებისა და სარვეულე ქაღალდის განაწილების შესახებ“.

5. „საკოლმეურნეო ბაზრების კეთილმოწყობისა და მათი მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1945 წლის 11 ივლისის № 826 დადგენილების მე-7 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები.

6. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1945 წლის 2 აგვისტოს № 932 დადგენილება „საქართველოს სსრ რაიონებში მოსავლის აღებისა, საშემოდგომო

ეროვნული ბიბლიოთეკა

თესვისა და მზრალად ხვნისათვის 1945 წლის III კვარტალში საწვავისა და ზეთების შეტანის შესახებ".

7. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1946 წლის 5 მარტის № 218 დადგენილება „1946 წელს მოსახლეობის კინომომსახურების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ".

8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1946 წლის 30 ივლისის № 246 განკარგულება.

9. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1946 წლის 4 ნოემბრის № 1012 დადგენილება „შეშის მომარაგების 1946 წლის IV კვარტალის გეგმის შესახებ".

10. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 27 მარტის № 187 დადგენილება „1947 წელს საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში კარტოფილისა და ბოსტნეული კულტურების თესვის გეგმის უზრუნველყოფის ზომების შესახებ".

11. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 10 ივნისის № 570 დადგენილება „1947 წლის მოსავლის ხილის კურკის დამზადების გეგმის შესახებ".

12. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 6 აგვისტოს № 814 დადგენილება „1947 წლის III კვარტალში მოსახლეობის მარილით მომარაგების უზრუნველყოფის ღონისძიებებისა და მოხმარების ადგილებში ზამთრის პერიოდისათვის მარილის მარაგის შექმნის შესახებ".

13. მე-12 პუნქტის „ა" ქვეპუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 16 სექტემბრის № 1006 დადგენილებისა „ხორცის, ძეხვის ნაწარმის, ერბო-კარაქისა და ყველის წარმოების გადიდების ზომების შესახებ" სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 28 ივნისის № 2694 დადგენილების განხორციელების ღონისძიებებზე".

14. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1947 წლის 16 ოქტომბრის № 1169 დადგენილება „ნედლი და ტენიანი მარცვლის შრობისა და პურის დაცვა-შენახვის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ".

15. პუნქტი 6 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 18 მაისის № 495 დადგენილებისა „საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის მიერ 1948 წლის II კვარტალში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების და ნედლეულის შესყიდვისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სამრეწველო ცენტრებში გატანის გეგმის შესახებ".

16. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 1 ივნისის № 577 დადგენილება „1948 წლის მოსავლის საადრეო ბოსტნეულისა და კარტოფილის გამოყენების გეგმის შესახებ".

17. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 28 ივნისის № 661 დადგენილება „1948 წლის მოსავლის პურის გადაზიდვის უზრუნველყოფის ზომების შესახებ".

18. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 6 ივლისის № 717 დადგენილება „უალკოჰოლო სასმელებისა და მინერალური წყლების წარმოე-

ბის გადიდების, მათი ხარისხისა და ასორტიმენტის გაუმჯობესების ზომების შესახებ“.

19. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 31 აგვისტოს № 982 დადგენილება „ადგილობრივი მრეწველობის და სარეწაო კოოპერაციის საწარმოთა მიერ ადგილობრივი საშენი მასალების წარმოების გადიდების ღონისძიებათა შესახებ“.

20. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 31 აგვისტოს № 990 დადგენილება „1949 წელს წებოს ქარხნებისათვის ძვლის მიწოდების შესახებ“.

21. პუნქტი 10 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 18 მაისის № 532 დადგენილებისა „საკურორტო ადგილებში ვაჭრობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

22. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 7 ივნისის № 624 დადგენილება „ქ. მოსკოვში საქვაჭრობის სასურსათო მაღაზიის გახსნის შესახებ“.

23. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 14 ივნისის № 664 დადგენილება „1949 წლის მოსავლის საადრეო ბოსტნეულის, კარტოფილისა და ხილის გამოყენების გეგმის შესახებ“.

24. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 4 ოქტომბრის № 1315 დადგენილება „1949 წლის მოსავლის იმ თესლოვანი და კურკოვანი ნაყოფის, ყურძნის, საზამთროსა და ნესვის, ლეღვის, ბროწეულის, თხილისა და კაკლის გამოყენების გეგმის შესახებ, რომლებიც საქართველოს სს რესპუბლიკაში მზადდება დამზადებისა და შესყიდვის სახელმწიფო გეგმის მიხედვით“.

25. პუნქტი 4 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 18 ოქტომბრის № 1398 დადგენილებისა „ხორცის, ძეხვის ნაწარმის და ცხოველთა ცხიმეულის ვაჭრობის საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა, აგრეთვე ამ პროდუქტების ხარისხისა და ასორტიმენტის გაუმჯობესების შესახებ“.

26. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 17 იანვრის № 76 დადგენილება „1950 წლის პირველ კვარტალში კოლმეურნეობებისათვის კონცენტრირებული საკვების მიყიდვის შესახებ“.

27. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 17 ოქტომბრის № 1444 დადგენილება „ოქტომბერსა და დღესასწაულის წინადღეებში სასურსათო და სამრეწველო საქონლის ვაჭრობის უზრუნველყოფის შესახებ“.

28. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 25 მაისის № 623 დადგენილება „1951 წელს კოლმეურნეობათა სატვირთო ავტომობილებისა და ძრავების რემონტის შესახებ“.

29. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 18 მარტის № 320 დადგენილება „1952 წელს მინერალური სასუქების განაწილებისა და 1952 წლის გაზაფხულისათვის მათი შემოზიდვის გეგმის შესახებ“.

30. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 4 აპრილის № 359 დადგენილება „1952 წელს მინერალური სასუქების განაწილებისა და 1952 წლის გაზაფხულისათვის მათი შემოზიდვის გეგმის შესახებ“.

31. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 17 აპრილის № 475 დადგენილება „1952 წლის აპრილსა და დღესასწაულის წინადღეებში სასურსათო და სამრეწველო საქონლის ვაჭრობის უზრუნველყოფის შესახებ“.

32. „სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების, შენახვისა და გასაღების ზედნადები ხარჯების შემცირებისა და დამამზადებელი ორგანოების სისტემის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 30 ივლისის № 1136 დადგენილების პუნქტი 15, მე-16 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები და პუნქტი 30.

33. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 19 აგვისტოს № 1273 დადგენილება „1952 წლის მოსავლის თესლოვანი და კურკოვანი ნაყოფის, ყურძნის, საზამთროსა და ნესვის გამოყენების გეგმის შესახებ“.

34. პუნქტი 4 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 6 სექტემბრის № 1389 დადგენილებისა „1952 წლის მოსავლის კარტოფილის გამოყენების გეგმის შესახებ“.

35. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 23 სექტემბრის № 1517 დადგენილება „ახალციხის რაიმრეწვკომბინატის სახამებლის წარმოებისათვის 1952 წლის მოსავლის კარტოფილის გამოზიდვის ღონისძიებათა შესახებ“.

36. პუნქტი 6 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 20 ივნისის № 828 დადგენილებისა „1953 წლის მოსავლის საადრეო ბოსტნეულისა და კარტოფილის, ხილის, ყურძნის, საზამთროსა და ნესვის დამზადების, გამოზიდვის და რეალიზაციის გეგმის შესახებ“.

37. „1953 წლის მოსავლის ხილისა და ყურძნის დამზადების და შესყიდვის სახელმწიფო გეგმის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 15 აგვისტოს № 1061 დადგენილების მე-15 პუნქტის ქვეპუნქტები „ა“, „ბ“, „გ“, „დ“, „ე“ და პუნქტი 17.

38. პუნქტი 5 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 26 სექტემბრის № 1234 დადგენილებისა „შავი და ფერადი ლითონების ჯართის დამზადების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

39. პუნქტი 10 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 26 სექტემბრის № 1236 დადგენილებისა „1953 წლის მოსავლის კარტოფილისა და ბოსტნეულის გამოყენების გეგმის შესახებ“.

40. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 26 სექტემბრის № 1284 დადგენილება „ახალციხის რაიმრეწვკომბინატის სახამებლის წარმოებისათვის 1953 წლის მოსავლის კარტოფილის გამოზიდვის ღონისძიებათა შესახებ“.

41. „საზამთროს, ნესვისა და გოგრის წარმოებისა და დამზადების გადიდების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 11 ივნისის № 529 დადგენილების პუნქტი 13 და პუნქტი 18 კოლმეურნეობებისათვის სარკინიგზო ტრანსპორტის მიწოდების ნაწილში.

42. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 11 ივნისის № 539 დადგენილება „საქართველოს სს რესპუბლიკაში 1954 წლის მოსავლის საად-

რეო ბოსტნეულისა და კარტოფილის სახელმწიფო მიწოდების დავალების, მათი შესყიდვისა და გამოყენების გეგმის დამტკიცების შესახებ“.

43. პუნქტი 5 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 14 ივლისის № 615 დადგენილებისა „1954 წლის მოსავლის საადრეო ხილის ქ. მოსკოვში, კურორტ სოჭასა და ნოვოროსიისკში გაგზავნის გეგმისა და საქართველოს სსრ სავაჭრო ორგანიზაციებისათვის საადრეო ხილისა და ყურძნის მიცემის გეგმის შესახებ“.

44. პუნქტი 5 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 18 აგვისტოს № 744 დადგენილებისა „1954 წლის მოსავლის ბოსტნეულის გამოყენების გეგმის შესახებ“.

45. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 27 აგვისტოს № 784 დადგენილება „1954 წლის III კვარტალში ამიერკავკასიის რკინიგზით ტვირთის გადაზიდვის გეგმის შესრულებისა და 1954-1955 წლების ზამთრისათვის სამრეწველო საწარმოებში, ელექტროსადგურებში და რკინიგზებზე ნედლეულისა და სათბობის მარაგის შექმნის უზრუნველყოფის შესახებ“.

46. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 9 სექტემბრის № 837 დადგენილება „1954 წლის მოსავლის შაქრის ჭარხლის გამოზიდვის შესახებ“.

47. პუნქტი 6 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 11 ივნისის № 355 დადგენილებისა „1955 წლის მოსავლის საზამთროსა და ნესვის შესყიდვის სახელმწიფო გეგმის შესახებ“.

48. პუნქტი 2 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 20 ივლისის № 409 დადგენილებისა „1955 წლის მოსავლის კარტოფილისა და ბოსტნეულის გამოყენების გეგმის შესახებ“.

49. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 3 აგვისტოს № 433 დადგენილება „1955 წელს პირუტყვისა და ფრინველის მასობრივი მიღებისა და გადამუშავების შემოდგომა-ზამთრის სეზონისათვის საქართველოს სსრ ხორცისა და რძის პროდუქტების მრეწველობის სამინისტროს ხორცგადამმუშავებელი საწარმოებისა და პირუტყვდამამზადებელი ორგანიზაციების მომზადების შესახებ“.

50. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 22 ოქტომბრის № 1338 განკარგულება.

51. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 17 აგვისტოს № 526 დადგენილება „1957 წლის III კვარტალში ქვანახშირის დატვირთვის გეგმის შესრულების უზრუნველყოფის შესახებ“.

52. პუნქტი 4 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 16 ოქტომბრის № 652 დადგენილებისა „შავი ლითონის ჯართის შეგროვების, დამზადებისა და გადამუშავების ორგანიზაციის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

53. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 27 მარტის № 207 დადგენილება „რკინიგზის, წყალთა და საავტომობილო ტრანსპორტით გადაზიდვისა და მომხმარებლებისათვის მიცემის დროს სტანდარტულ ტარაში შე-

ფუთული ტვირთების აწონის გაუქმების შესახებ“ იმ ნაწილში, რომელიც შეეხება სარკინიგზო ტრანსპორტით გადაზიდვას.

54. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 5 ივლისის № 428 დადგენილება „1958 წლის შემოდგომა-ზამთრის პერიოდში კარტოფილის განაწილების გეგმისა და მისი შემოზიდვის ორგანიზაციის გაუმჯობესების ზომების შესახებ“.

55. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 16 აგვისტოს № 530 დადგენილება „1958 წლის მოსავლის შაქრის ჭარხლის აღებისა და გადამუშავებისათვის მზადების შესახებ“.

56. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 16 აგვისტოს № 541 დადგენილება „1958 წელს საქართველოს სსრ შავი მეტალურგიის საწარმოებში საწარმოო სიმძლავრეთა მშენებლობისა და საექსპლუატაციოდ გადაცემის გეგმის შესრულების უზრუნველყოფისა და 1959 წელს მშენებლობისათვის ჭარბნაკეთის შექმნის ზომების შესახებ“.

57. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 18 თებერვლის № 120 დადგენილება „1959 წლის იანვარ-მაისში ნავთობგადამმუშავებელი ქარხნებიდან ნავთობპროდუქტებისა და ნავთობსარეწებიდან ნავთობის გატანის უზრუნველყოფის ზომების შესახებ“.

58. პუნქტი 5 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 25 ივლისის № 608 დადგენილებისა „პირუტყვისა და ფრინველის მიღებისა და გადამუშავების გაუმჯობესების ზომების შესახებ“.

59. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 14 აგვისტოს № 929 განკარგულება.

60. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 14 აგვისტოს № 930 განკარგულება.

61. პუნქტი 1 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 12 სექტემბრის № 719 დადგენილებისა „რკინიგზის, წყალთა და საავტომობილო ტრანსპორტით გადაზიდვის და მომხმარებლებისათვის მიცემის დროს ფხვნილი შაქრისა და სახამებლის სტანდარტული წონის ტომრების აწონის გაუქმების შესახებ“, იმ ნაწილში, რომელიც შეეხება სარკინიგზო ტრანსპორტით გადაზიდვას.

62. პუნქტი 3 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 8 ოქტომბრის № 685 დადგენილებისა „1962 წელს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ხორცგადამმუშავებელი მრეწველობის საწარმოების მიერ პირუტყვისა და ფრინველის დროულად მიღებისა და გადამუშავების უზრუნველყოფის შესახებ“.

---

10 ფოთის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მიერ ფოთის ჰიდრომექანიზაციის მანქანათმშენებლობის ქარხნისათვის საცხოვრებელი სახლების დაბრუნებისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნას ფოთის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის და ფოთის ჰიდრომექანიზაციის მანქანათმშენებლობის ქარხნის წინადადება იმის შესახებ, რომ დაუბრუნდეს ქარხანას მის მიერ წინათ აშენებული და ფოთის საქალაქო აღმასკომისათვის გადაცემული საცხოვრებელი სახლები, დანართის თანახმად.

2. დაკმაყოფილდეს სსრ კავშირის სამშენებლო, საგზაო და კომუნალური მანქანათმშენებლობის სამინისტროს და ფოთის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თხოვნა და დაემატოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილებით დამტკიცებულ სიას იმ საწარმოებისა და დაწესებულებებისა, რომელთა სახლებიდან, საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის 327 მუხლის შესაბამისად, დაიშვება იმ მუშათა და მოსამსახურეთა გამოსახლება სასამართლო წესით საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად, რომლებმაც შეწყვიტეს შრომითი ურთიერთობა საკუთარი სურვილით, ან შრომის დისციპლინის დარღვევისათვის, ანდა დანაშაულის ჩადენისათვის დათხოვნასთან დაკავშირებით, — შემდეგი პუნქტი:

„85. ფოთის ჰიდრომექანიზაციის მანქანათმშენებლობის ქარხნის საცხოვრებელი სახლები“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1967 წ. 22 მარტი, № 175.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1967 წლის 22 მარტის № 175
დადგენილების დანართი

ს ი ა

საცხოვრებელი სახლებისა, რომლებიც წინათ აშენებულია ფოთის ჰიდრომექანიზაციის მანქანათმშენებლობის ქარხნის მიერ ქ. ფოთში

1. 13-ბინიანი საცხოვრებელი სახლი ჭავჭავაძის ქუჩაზე № 10
2. 29-ბინიანი საცხოვრებელი სახლი ჩხეიძის ქუჩაზე № 2
3. 36-ბინიანი საცხოვრებელი სახლი ფრუნზეს ქუჩაზე № 20
4. 9-ბინიანი საცხოვრებელი სახლი პუშკინის ქუჩაზე № 38

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

11 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

დაკმაყოფილდეს სსრ კავშირის ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებათა და მართვის სისტემების სამინისტროს და აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თხოვნა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის № 250 დადგენილებით დამტკიცებულ სიას იმ საწარმოებისა და დაწესებულებებისა, რომელთა სახლებიდან, საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის 327 მუხლის შესაბამისად, დაიშვება იმ მუშათა და მოსამსახურეთა გამოსახლება სასამართლოს წესით საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად, რომლებმაც შეწყვიტეს შრომითი ურთიერთობა საკუთარი სურვილით, ან შრომის დისციპლინის დარღვევისათვის, ანდა დანაშაულის ჩადენისათვის დათხოვნასთან დაკავშირებით, — შემდეგი პუნქტი:

„86. ქარხანა „სოხუმხელსაწყოს“ საცხოვრებელი სახლები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1967 წ. 22 მარტი, № 176.

12 საბჭოთა მეურნეობებში შინასაწარმოო სატელეფონო კავშირის საშუალებათა მშენებლობის სამუშაოების დაფინანსების წესის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

„სოფლად სატელეფონო კავშირის შემდგომი განვითარების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 3 დეკემბრის № 661 დადგენილების 1 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის ნაწილობრივ შესაცვლელად, დაწესდეს, რომ საბჭოთა მეურნეობებში შიდასაწარმოო სატელეფონო კავშირის მოწყობის სამუშაოთა შესრულება ხდება იმ სახსრების ხარჯზე, რომლებიც გამოიყოფა საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო გეგმით-კაპიტალური დაბანდებებისათვის დარგით „სოფლის მეურნეობა“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1967 წ. 30 მარტი, № 203.

13 საქართველოს სსრ კურორტების კლასიფიკაციის შესახებ

საქართველოს სსრ კურორტთა კლასიფიკაციის მოწესრიგების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს და საქართველოს პროფკავშირთა კურორტების მართვის რესპუბლიკური საბჭოს მიერ წარმოდგენილი კლასიფიკაცია საქართველოს სსრ კურორტებისა და დაიყოს ისინი სამ კატეგორიად:

ა) რესპუბლიკური მნიშვნელობის კურორტები;

ბ) ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტები;

გ) სამკურნალო ადგილები,

№№ 1, 2 და 3 დანართების თანახმად.

2. საქართველოს სსრ კურორტთა ახალი კლასიფიკაციის დამტკიცებასთან დაკავშირებით, ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 29 ოქტომბრის № 755 დადგენილება „საქართველოს სსრ საკურორტო და საკურორტო ადგილებში პასპორტების და მათი შემცვლელი დოკუმენტების გაწერისათვის სახელმწიფო ბაჟის გადახდევინების შესახებ“ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 15 ივნისის № 396 დადგენილება „იმ მოქალაქეებისაგან საკურორტო გამოსაღების შემოღების შესახებ, რომ-

ლებიც უსაგზუროდ და უსაკურსებოდ ჩადიან დასასვენებლად საქართველოს სსრ საკურორტო ადგილებში".

3. პასპორტებისა და მისი შემცვლელი დოკუმენტების გაწერისას სახელმწიფო ბაჟი, აგრეთვე საკურორტო გამოსაღები გადახდევინებულ იქნას ამ დადგენილების №№ 1 და 2 დანართებში ჩამოთვლილ კურორტებზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1967 წ. 31 მარტი, № 210.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1967 წლის 31 მარტის № 210
დადგენილების დანართი № 1

ს ი ა

რესპუბლიკური მნიშვნელობის კურორტებისა

კურორტების დასახელება	პროფილი	ტერიტორიული მდებარეობა
აბასთუმანი	კლიმატური	ადიგენის რაიონი
ახტალა	ტალახის	გურჯაანის რაიონი
ახალი ათონი	ზღვისპირა-კლიმატური	გუდაუთის „
ბაკურიანის ჯგუფი:		
ა) ბაკურიანი	კლიმატური	ბორჯომის
ბ) ლიბანი	„	„
გ) პატარა ცემი	„	„
დ) წაღვერი	„	„
ე) ცემი	„	„
ბათუმი (ქალაქი—კურორტი)	ზღვისპირა-კლიმატური	ქ. ბათუმი
ბახმარო—ნაბეღლავი	კლიმატურ-ბალნეოლოგიური	ჩოხატაურის რაიონი
ბიჭვინთა (პიცუნდა)	ზღვისპირა-კლიმატური	გაგრის რაიონი
ბორჯომი	ბალნეოლოგიურ-კლიმატური	ბორჯომის რაიონი
გაგრა—განთიადი—ლესელიძე	ზღვისპირა-კლიმატური	გაგრის „
გუდაუთა	„	გუდაუთის „
გულრიფში	„	გულრიფშის „
ჯავა	ბალნეოლოგიურ-კლიმატური	ჯავის „
მწვანე კონცხი	ზღვისპირა-კლიმატური	ბათუმის რაიონი
ქობულეთი	„	ქობულეთის „
მახინჯაური	ზღვისპირა-კლიმატური	ბათუმის „
მენჯი	ბალნეოლოგიური	ცხაკაიას „
რიწა—ავათხარა	კლიმატურ-ბალნეოლოგიური	გაგრის „
საირმე	ბალნეოლოგიურ-კლიმატური	მაიაკოვსკის რაიონი
სურამი	კლიმატურ-ბალნეოლოგიური	ხაშურის რაიონი
სოხუმი (ქალაქი—კურორტი)		ქ. სოხუმი
აგუძერა—ეშერი	ზღვისპირა-კლიმატური	სოხუმის რაიონი
თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი	ბალნეოლოგიური	ქ. თბილისი
ცაიში	„	ზუგდიდის რაიონი
ციხისძირი	ზღვისპირა-კლიმატური	ქობულეთის „
წყალტუბო	ბალნეოლოგიური	წყალტუბოს „
შოვი—უწერა	კლიმატურ-ბალნეოლოგიური	ონის „

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ა. ჭირაქაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1967 წლის 31 მარტის № 210
დადგენილების დანართი № 2

ს ი ა

ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტებისა

კურორტების დასახელება	პროფილი	ტერიტორიული მდებარეობა
ანაკლია	ზღვისპირა-კლიმატური	ზუგდიდის რაიონი
ასპინძა	ბალნეოლოგიური	ასპინძის „
ახალდაბა	კლიმატური	ბორჯომის „
ახალციხე	ბალნეოლოგიური	ახალციხის „
ბაბუშერი	ზღვისპირა-კლიმატური	სოხუმის „
ბეშუმი	სამთო-კლიმატური	ხულოს „
ბია	ბალნეოლოგიური	ხობის „
ვარძია	„	ასპინძის „
გორისჯვარი	„	ქ. გორი „
დრანდა	ზღვისპირა-კლიმატური	გულრიფშის „
ზვარე	ბალნეოლოგიური	ორჯონიკიძის „
ზეკარი	ბალნეოლოგიურ-კლიმატური	მაიაკოვსკის „
კვერეთი	ბალნეოლოგიური	საჩხერის „
ქვიშხეთი	სამთო-კლიმატური	ხაშურის „
კიკეთი	კლიმატური	გარდაბნის „
კოჯორი	„	გარდაბნის „
კურსები	ბალნეოლოგიური	ტყიბულის „
ლაში-ჭალა	„	ცაგერის „
ლებარდე	კლიმატურ-ბალნეოლოგიური	გეგეჭკორის „
ლუგელა-მუხური	ბალნეოლოგიური	ჩხოროწყუს „
მალთაყვა	ზღვისპირა-კლიმატური	ქ. ფოთი „
მანგლისი	კლიმატური	თეთრიწყაროს რაიონი
მუაში	ბალნეოლოგიურ-კლიმატური	ლენტეხის „
ნაქალაქევი	ბალნეოლოგიური	ცხაკაიას „
ნასაკირალი	„	მახარაძის „
ნუნისი	ბალნეოლოგიურ-კლიმატური	ორჯონიკიძის „
ოქტომბერი	ბალნეოლოგიური	ყვარლის „
ოჩამჩირე	ზღვისპირა-კლიმატური	ოჩამჩირის „
ფასანაური	კლიმატურ-ბალნეოლოგიური	დუშეთის „
ფსირცხა	ზღვისპირა-კლიმატური	გუდაუთის „
სიმონეთი	ბალნეოლოგიური	თერჯოლის „
სკური	„	წალენჯიხის „
სულორი	„	ვანის „
უჯარმა	„	საგარეჯოს „
ურეკი	ზღვისპირა-კლიმატური	მახარაძის „
თორღვას აბანო	ბალნეოლოგიურ-კლიმატური	თელავის „
ცივი-კოდა	კლიმატური	საგარეჯოს „
წყნეთი	„	გარდაბნის „
ხოვლე	ბალნეოლოგიური	კასპის „

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ა. ჭირაქაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1967 წლის 31 მარტის № 210
დადგენილების დანართი № 3

ს ი ა

სამკურნალო ადგილებისა, რომლებიც ემორჩილებიან მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებს

სამკურნალო ადგილების დასახელება	ტერიტორიული განლაგება	
ახალქალა	ცაგერის	რაიონი
აგარაკი — აბანო	ქარელის	„
ალპანა	ცაგერის	„
ახალი კინდღი	სოხუმის	„
აერო	გალის	„
ბოგაული	ხულოს	„
ბჟერი	გეგეჭკორის	„
ბუღეულა	ამბროლაურის	„
ვაჟას წყარო	დუშეთის	„
გედისხევი	ცაგერის	„
გოგირდის აბანო (სოფ. ბორისი)	ონის	„
გოგირდის აბანო (სოფ. პარახეთი)	ონის	„
გოგნიაური	დუშეთის	„
გომის მთა	მახარაძის	„
გონა	ონის	„
ღორეშა	ორჯონიკიძის	„
დაბა	ბორჯომის	„
დვირი	ბორჯომის	„
ძეგლავა	ონის	„
ძუგური	ცაგერის	„
დიდი მიტარბი	ბორჯომის	„
დობირო-ზუბი	ცაგერის	„
დუშეთი	დუშეთის	„
ზოდის აბანო	ჭიათურის	„
ივანოვკა	თეთრიწყაროს	„
ყაზბეგი	ყაზბეგის	„
კალუათი	ჭიათურის	„
კაიშაური	დუშეთის	„
ყანჩავეთი	ლენინგორის	„
კაცალხევი	დუშეთის	„
კახის აბანო	ჭიათურის	„
კვალითი	ზესტაფონის	„
ქედისჯვარი	მახარაძის	„
კობი	ყაზბეგის	„
კოდიბინი	ჯავის	„
კოკოტაური	ქედის	„
კუმისი	ჯავის	„
ლაგოდეხის აბანო	ლაგოდეხის	„
ლაშაღელა	ტყიბულის	„
მანასეული	დუშეთის	„
მაჭარაწყალი	ბორჯომის	„
მაჭარა	გულრიფშის	„

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამკურნალო ადგილების დასახელება	ტერიტორიული განლაგება	
მესტია	მესტიის	რაიონი
მზეთამზე	ბორჯომის	„
მრაკველი	ახალციხის	„
ნაგუთნი	ზნაურის	„
ნედევი	ბორჯომის	„
ნიჩაბა	ზესტაფონის	„
ნიჩბისი	მცხეთის	„
ნაცარა	ონის	„
ორკე	ჩოხატაურის	„
ფანშეტი	ყაზბეგის	„
პატარა მიტარბი	ბორჯომის	„
ფხელშე	ყაზბეგის	„
საკოპაძეო	მაიაკოვსკის	„
სალაჯური	დუშეთის	„
სანისლია	ჩოხატაურის	„
საწირე	ტყიბულის	„
სახვალარი	ორჯონიკიძის	„
სიონი	ყაზბეგის	„
სმადა	ადიგენის	„
სორტა	ცხაკაიას	„
სხენური	ონის	„
ტბა	ბორჯომის	„
ტყეგვალა	მახარაძის	„
ტეკანაში	წალენჯიხის	„
თეთრიწყარო	თეთრიწყაროს	„
ტიმოთეს უბანი	ბორჯომის	„
ტყემლოვანი	ბორჯომის	„
ურაველი	ახალციხის	„
ხატისხევი	დუშეთის	„
ხვედურეთი	ქარელის	„
წებელდა	გულრიფშის	„
წინუბანი	ბორჯომის	„
წირქვალი	ჭიათურის	„
ცისკარა	ბათუმის	„
წითელიწყარო	წითელწყაროს	„
წყალთბილა	ახალციხის	„
ჩეგოლა	გეგეჭკორის	„
ზემო ჩირიკი	დუშეთის	„
ჩითახევი	ბორჯომის	„
ჩოკიანი	ვანის	„
ჩოხელი	დუშეთის	„
ჩუკურთკარი	დუშეთის	„
ეხისელი	ყვარლის	„
ლაშე აბანო	მახარაძის	„
ქვემო ჩირიკი	დუშეთის	„

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ა. ჭირაქაძე.

14 ზოგიერთი ნაკლებად გავრცელებული ძვირფასი ჯიშის ყურძნის შესასყიდი (დამზადების) ფასების შესახებ

იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დაინტერესება მაღალხარისხოვანი უნიკალური მარკიანი ღვინოების წარმოებისათვის საჭირო ზოგიერთი ნაკლებად გავრცელებული ძვირფასი ჯიშის ვენახის ნარგავების გაფართოებითა და ყურძნის წარმოების გადიდებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს, 1967 წლის მოსავლიდან დაწყებული, შემდეგი ჯიშის ყურძნის შესასყიდი (ჩასაბარებელი) ფასები: ალადასტური — 700 მანეთი, უსახელაური — 700 მანეთი, ხიხვი — 640 მანეთი და კაბერნე — 600 მანეთი ტონაში.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 14 ივნისის № 378 დადგენილების ის ნაწილი, რომელიც შეეხება ზემოაღნიშნული ჯიშის ყურძნის შესასყიდ ფასებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1967 წ. 14 აპრილი, № 246.

15 ქ. თბილისის ფიზიკა-მათემატიკური სკოლა-ინტერნატისათვის სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავის, საბჭოთა კავშირის ორგზის გმირის, ინჟინერ-პოლკოვნიკ ვლადიმერ მიხეილის ძე კომაროვის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაკმაყოფილდეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს შუამდგომლობა და ქ. თბილისის ფიზიკა-მათემატიკურ სკოლა-ინტერნატს მიენიჭოს სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავის, საბჭოთა კავშირის ორგზის გმირის, ინჟინერ-პოლკოვნიკ ვლადიმერ მიხეილის ძე კომაროვის სახელი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1967 წ. 25 აპრილი, № 265.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განკარგულებები

16 განკარგულება № 358-გ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 25 მარტის № 248 დადგენილება „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 5 ნოემბრის № 1233 დადგენილების მე-3 პუნქტის მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ“ დაეგზავნოს სახელმძღვანელოდ საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1967 წ. 31 მარტი, № 358-გ.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო
დადგენილება № 248

1967 წლის 25 მარტი

მოსკოვი, კრემლი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 5 ნოემბრის № 1233 დადგენილების მე-3 პუნქტის მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

„იმ პირთათვის შემცირებული სამუშაო დღის ან შემცირებული სამუშაო კვირის დაწესების შესახებ, რომლებიც წარმატებით სწავლობენ წარმოებისაგან მოუწყვეტლივ მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში — საღამოს (ცვლის, სეზონურ) და დაუსწრებელ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 5 ნოემბრის № 1233 დადგენილების მე-3 პუნქტის მოქმედების ვადა გაგრძელდეს 1970/71 სასწავლო წლის დაწყებამდე.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ა. კოსიგინი.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. სმირტიუკოვი.**

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 2 1967 год

გამომცემელი: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისია.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 19/VI-1967 წ. ქაღალდის ზომა 70×108/16
ქაღალდი 17000, ნაბეჭდი თაბახი 3,0, სააღრიცხვო თაბახი 3,2.

თარგმნილია რუსულიდან.

შეკვეთა № 690 ტირაჟი 2750

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა, თბილისი, რუსთაველის გამზირი № 8.

ᲝᲜᲚᲔᲥᲡᲘ—76187